



ბრძანება N 99

„14“ 05 2017 წელი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგების, მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადებების, აგრეთვე მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 55-ე და 56-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის N714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N163/წ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 10 მაისის N488466 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგების, მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადებების, აგრეთვე მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ელექტრონულ სისტემაში განთავსების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 19 ივნისიდან 17 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.

3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6.)

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი